1965/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 16 (285) 15 ივნისი 1965 წელი

174

## შინაარსი

### ნაწილი I

ყველა ქვეყნის მთავრობებს, პარლამენტებსა და ხალხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართვა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავის გამო

განკოფილება მეორე

331. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ მ. ა. შოლოხოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
332. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ე. მ. ტარეევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
333. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ე. კორნეიჩუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
334. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლ. ი. დობრეანსკაიასა და ა. ა. პოპოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
335. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მ. ბ. გრეკოვის სახელობის სამხედრო მხატვართა სტუდიის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
336. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. თ. ილიაშენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
337. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ნ. ტიმონენის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პასუხი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საკრებულოს მიმართვაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებისადმი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

338. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
339. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებაში დამატების შეტანის თაობაზე.
340. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ.
341. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.
342. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ რესპუბლიკაში.
343. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით და ადგილობრივი სახსრებით რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის თაობაზე საგარეჯოელთა ინიციატივის მხარდაჭერის მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის, ახმეტისა და ჩოხატაურის რაიონებში.
344. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბორჯომის რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოს სოფლების ლიკანის და ვაშლოვანის გაუქმების შესახებ.
345. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დუშეთის რაიონის ჭონქაძის სასოფლო საბჭოდან სოფლების ტონჩის, არბოეთის და თხილოვანის გამოყოფისა და გრემისხევის სასოფლო საბჭოსათვის მიკუთვნების შესახებ.
346. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის შექმნის შესახებ.

### განყოფილება მეორე

347. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
348. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რეჟისორ ა. ე. ჩხარტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
349. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ ლ. ი. ხოტივარისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
350. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. ხორავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
351. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. თამრაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
352. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. მარჯანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

353. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. გერასიმეას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

354. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. მ. შატბეროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

355. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის მუსიკალურ-დრამატული სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## ყველა ქვეყნის მთავრობებს, პარლამენტებსა და ხალხებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართვა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავის გამო

ოცი წლის წინათ დამთავრდა ისტორიაში ყველაზე მძიმე და სისხლისმღვრელი ომი. ჰიტლერული ფაშიზმი — ეს მსოფლიო რეაქციის შავბნელი ძალების წარმონაშობი, ბარბაროსობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულთა კონცენტრირებული გამოხატულება — გაცამტვერებულ იქნა. ფაშისტურმა გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა.

მთელ მსოფლიოში ცნობილია ისტორიული გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელმაც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე გადაიტანა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განადგურებულ იქნა ჰიტლერული არმიის მთავარი ძალები. აქ საძრახისი აღსასრული ჰპოვეს ფაშისტთა ურდოებმა, რომლებსაც თავი მოჰქონდათ თავიანთი „უძლეველობით". დამხობილ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართეს გმირმა საბჭოთა მეომრებმა.

გერმანიის ფაშიზმისა და მისი მოკავშირეების განადგურება ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის დიადი გამარჯვებაა. ეს გამარჯვება იჭედებოდა ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოთა, პარტიზანთა, წინააღმდეგობის სახალხო მოძრაობის მებრძოლთა, ყველა ანტიფაშისტის, დემოკრატის, პატრიოტის, ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლთა გაერთიანებული მეცადინეობით. დღეს, სახელოვანი გამარჯვების ოცი წლისთავზე, საბჭოთა ადამიანები ჯეროვან პატივს სცემენ ყველას, ვინც მტერზე გამარჯვებისათვის იბრძოდა. ისინი განსაკუთრებულ პატივს სცემენ ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების არმიათა მეომრებს, პარტიზანებს, წინააღმდეგობის ყველა მონაწილეს, რომლებიც გმირულად ებრძოდნენ საერთო მტერს. ისინი მიესალმებიან ფაშიზმისადმი წინააღმდეგობის მოძრაობის მამაც გერმანელ მებრძოლებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ნაციზმისაგან თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებაში.

დიადი გამარჯვება ძვირად დაგვიჯდა. ორმოცდაათი მილიონი დახოცილი, ათეულ მილიონობით დასახიჩრებული, ქვრივ-ობლების მწუხარება და ტანჯვა — აი რა დაუჯდა კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომი. ომმა შეიწირა 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე. ფაშისტმა ბარბაროსებმა დაანგრიეს 1.700 ქალაქი, გადასწვეს 70 ათასზე მეტი სოფელი. და ეს მხოლოდ ზოგიერთი ფაქტია, რომლებიც ჩვენს მსხვერპლს მოგვაგონებენ.

მძიმე დანაკლისი და ტანჯვა მოუტანეს ჰიტლერელებმა პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ინგლისის, საბერძნეთის, ბელგიის, ნორვეგიის, დანიისა და ბევრი სხვა ქვეყნის ხალხებსაც. ისინი ვერ დაივიწყებენ საშინელ დროს, როცა ჰიტლერელები მხეცური ულმობელობით ჟლეტდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში სამხედრო ტყვეებს, ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჰიტლერელებმა სიკვდილის ფაბრიკების ღუმელები დაანთეს მთელ ევროპაში. საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების ნანგრევები, ოსვენციმი და ბუჰენვალდი, პოლონეთის დედაქალაქის ვარშავისა და ინგლისის ქალაქ კოვენტრის, ჩეხოსლოვაკიის სოფელ ლიდიცესა და საფრანგეთის სოფელ ორადურის ნანგრევები სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის მეხსიერებაში და ამხილებს ფაშიზმის საზარელ დანაშაულობებს.

ხალხები წარსული ომის მრისხანე ამბებს იმისათვის იხსენებენ, რომ დღეს გამოიტანონ დასკვნები აწმყოსა და მომავლისათვის.

მეორე მსოფლიო ომმა ცხადყო, რომ ჩვენს დროში მსოფლიო ბატონობის მოპოვების ყოველგვარი პრეტენზია გარდუვალად გამანადგურებელი კრახით მთავრდება. ეს ყველა იმათი სერიოზული გაფრთხილებაა, ვინც კვლავ ეცდება ჰიტლერის გზას დაადგეს. ხალხები აღგვიან ყველას, ვინც თავისი ბატონობის დასამყარებლად კაცობრიობას განუმზადებს მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას.

მეორე მსოფლიო ომმა ცხადყო, რომ თანამედროვე სამყაროში არ არის ძალები, რომლებსაც შეეძლოთ შეაჩერონ ხალხთა დიადი წინსვლა სოციალური პროგრესისა და ეროვნული განთავისუფლების გზით. კარგად არის ცნობილი, რომ ისინი, ვინც „ანტიკომინტერნული პაქტის“ ნიღბით ამზადებდა და იწყებდა ომს, ვინც აქეზებდა აგრესორებს, სოციალიზმის, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის განადგურების გეგმებს ადგენდნენ, მაგრამ ომის ბედი გადაწყვიტეს ხალხებმა, რომლებმაც ჩაფუშეს პროგრესის მტერთა ვარაუდები.

ფაშიზმზე მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური სახე. ანტიფაშისტური ბრძოლისა და სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების დროს შეიქმნა ახალი სოციალისტური სახელმწიფოები დასავლეთსა და აღმოსავლეთში, შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. სოციალიზმმა დაამტკიცა, რომ ეს წყობილება უძლეველია, რომ იგი დამკვიდრდა დედამიწაზე და ახლა მით უმეტეს ვერავინ ვერ შეძლებს ჩაიდინოს ის, რაზედაც ხერხემალი გადაიმტვრია გერმანიის ფაშიზმმა.

საერთაშორისო რეაქციის დამკვრელი ძალების — გერმანიის, იტალიის ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ დიდად შეუწყო ხელი აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობას, დიადი გამარჯვება მოიპოვა მრავალმილიონიანმა ჩინელმა ხალხმა. სოციალიზმის გზას დაადგებიან სულ ახალი ქვეყნები. ასეთია ისტორიული განვითარების კანონი.

მეორე მსოფლიო ომმა სხვა რამეც ასწავლა ხალხებს. ომის მომზადებისა და გაჩაღების მთელი ისტორია მოწმობს, რომ როცა ომის საფრთხე იქმნება, მის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების სულ მცირე დაყოვნება აგრესორთა წაქეზებას უდრის. შეიძლებოდა თუ არა ხელი შეგვეშალა ჰიტლერული ფაშიზმის დანაშაულებრივი ავანტიურისათვის? დიახ, შეიძლებოდა, მშვიდობისმოყვარე ძალები შეკავშირებული რომ ყოფილიყვნენ, აქტიურად რომ ემოქმედნათ, ხოლო დასავლეთის გარკვეულ წრეებზე გავლენა არ მოეხდინა ყალბ მშვიდობისმყოფელთა რჩევას, რომელნიც სინამდვილეში აქეზებდნენ აგრესორებს და არსებითად გამოდიოდნენ თავიანთი ქვეყნების ეროვნული ინტერესების წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმდეგ. დიახ. შეიძლებოდა, თავის დროზე რომ შექმნილიყო კოლექტიური უშიშროების მტკიცე სისტემა, რასაც საბჭოთა კავშირი მოითხოვდა.

ახლა მსოფლიოს წინაშე დგას საკითხი: როგორ აიცილოს თავიდან ახალი მსოფლიო ომი, რომელიც კაცობრიობას თავს დაატეხდა თერმოატომურ კატასტროფას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ადამიანი დაეუფლა მძლავრ ძალებს: იგი ჩასწვდა ატომგულის სიღრმეს, შეუდგა კოსმოსური სივრცის იერიშს. ადამიანის გენიის დიდი მიღწევები უნდა მოხმარდეს შემოქმედებითს მიზნებს.

მაგრამ ახლა ისეთი მდგომარეობაა, რომ თუმცა ჩვენს პლანეტაზე ისედაც ჭარბად არის მასობრივი მოსპობის იარაღი, იქმნება ახალი, კიდევ უფრო საზარელი საშუალებანი. გამალებული შეიარაღება არ ნელდება. მსოფლიოს ხან ერთ ხან მეორე რაიონში წარმოიშობა დაძაბულობის კერები, იწყება ლოკალური ომები, რომლებიც შეიძლება მსოფლიო ხანძრად გადაიქცნენ.

ყველა ქვეყნის ხალხთა სამართლიან შეშფოთებას იწვევს დღეს ვიეტნამის ამბები. მთელი მსოფლიოს თვალწინ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ახორციელებენ ინტერვენციას სამხრეთ ვიეტნამში, ბარბაროსულად ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას. ეს მოქმედება შეიძლება შევაფასოთ როგორც მხოლოდ და მხოლოდ პირდაპირი აგრესია. სოციალისტური ქვეყნები, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი გადაჭრით მოითხოვენ, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია, გაიყვანოს ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, ზუსტად დაიცვას ჟენევის შეთანხმებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მთელი ვიეტნამელი ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

დაძაბულობის საშიში კერა კვლავ დარჩა კარიბის ზღვის რაიონში, სადაც არ წყდება პროვოკაციები გმირი კუბის წინააღმდეგ, სადაც მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების ინტერვენცია დომინგოს რესპუბლიკაში. კონგოში, ანგოლაში, მოზამბიკსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში კოლონიზატორები ცდილობენ იარაღით ჩაახშონ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. მაგრამ ვერც ბომბები, ვერც გაზები, ვერც ნაპალმი ვერ აღადგენენ დამხობილ კოლონიურ იმპერიებს. განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნები და ხალხები შეუპოვრად მიდიან თავიანთი გამარჯვებების განმტკიცების გზით და ვერავინ ვერ შეაჩერებს მათს წინსვლას სინათლისაკენ, პროგრესისაკენ, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისაკენ.

ხალხები ითვალისწინებენ ომის გაკვეთილებს და გულდასმით ადევნებენ თვალყურს მოვლენების განვითარებას ევროპის ცენტრში. ეს გასაგებიც არის. დასავლეთგერმანელი რევანშისტები კვლავ საფრთხეს უქმნიან ქვეყნებს, რომლებმაც უკვე ორჯერ განიცადეს გერმანული მილიტარიზმის აგრესია. რევანშისტებს არა სურთ ანგარიში გაუწიონ ევროპაში არსებულ საზღვრებს. ისინი ისწრაფვიან ხელთ იგდონ ატომური იარაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანამ გვიან არ არის, გადაულახავი დაბრკოლება უნდა აღვმართოთ ომისა და სამხედრო ავანტიურების გზაზე. ასეთია მთავარი დასკვნა, რომელიც დღეს გამოიტანეს ხალხებმა, რომლებსაც არ დავიწყებიათ წარსული ომი.

ჩვენს დროში ეს სავსებით რეალური ამოცანაა, რომლის გადაჭრა შეიძლება. მსოფლიოში შექმნილი ვითარება ძირეულად განსხვავდება იმ ვითარებისაგან, რომელიც იყო მეორე მსოფლიო ომის წინ. მშვიდობას მხარს უჭერს მილიონობით ადამიანი, რომლებსაც შეგნებული აქვთ, რომ თერმოატომური ომი ისეთ უბედურებას დაატეხს თავს ჩვენს პლანეტას, რომელიც ვერ შეედრება ყველა წარსული ომის შედეგებს. მშვიდობის საქმეს ემსახურება სოციალისტურ სახელმწიფოთა დიადი თანამეგობრობის უდიდესი მატერიალური და პოლიტიკური ძალა. სულ უფრო მზარდი წვლილი შეაქვთ მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში აზიის, აფრიკის, ევროპისა და ლათინური ამერიკის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, მშრომელებს.

ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ განვლილ ოც წელიწადში მშვიდობისმოყვარე ძალებმა ბევრჯერ მიაღწიეს მწვავე საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას და მილიტარიზის ძალების ალაგმვას. ეს დღესაც შეიძლება განხორციელდეს და კიდევაც უნდა განხორციელდეს.

მშვიდობის ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სახელმწიფოთა მთავრობებსა და პარლამენტებს. ისინი არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ არც ერთ ხალხს არა სურს მსოფლიო ომი, არა სურს გახდეს თერმოატომური კატასტროფის მსხვერპლი.

არ შეიძლება გამეორდეს მეორე მსოფლიო ომის წინახანების ამბები, როცა დასავლეთის გარკვეულმა წრეებმა, რომლებიც კომუნიზმისადმი სიძულვილმა დააბრმავა, დაკარგეს უნარი შეეგნოთ თავიანთი ქვეყნების ნამდვილი ინტერესები და შეუთანხმდნენ გერმანულ ფაშიზმს. ამ ავადსახსენებელმა „მიუნხენის პოლიტიკამ“ ხელფეხი გაუხსნა აგრესორს. ცნობილია, რა შედეგი მოჰყვა ასეთ პოლიტიკას: უწინარეს ყოვლისა იგი მისივე ინიციატორების წინააღმდეგ შებრუნდა.

ომის წლებში ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნები ერთად მოქმედებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ამას ხელს არ უშლიდა სოციალური წყობილების განსხვავება. ახლაც კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოების სოციალური წყობილების განსხვავება არ უნდა გახდეს დაბრკოლება იმისათვის, რომ ყველა მთავრობამ საქმით განახორციელოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. ისტორია არასოდეს არ გაამართლებს ისეთ ხაზს საერთაშორისო საქმეებში, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობებმა, თანამებრძოლებმა ჰიტლერელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში, შეწყვიტონ თანამშრომლობა, რომელიც მათ აკავშირებდათ ომის წლებში. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს იმას, რომ გავაერთიანოთ მეცადინეობა საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის, ვცნოთ, რომ შეუწყნარებელია სხვა ქვეყნებისა და ხალხების საქმეებში ჩარევა, პატივი ვცეთ ერთმანეთის კანონიერ ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საბჭოთა კავშირი კვლავ მოუწოდებს ყველა ქვეყნის მთავრობებს რეალური ზომში გამოიჩინონ ძალთა თანაფარდობისა და ატომური ხანის ომის შესაძლო შედეგების შეფასებაში, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.**

ხალხები მოელიან მთავრობებისაგან, რომ გადამწყვეტ ღონისძიებებს განახორციელებენ საერთაშორისო ვითარების გასაჯანსაღებლად. მთავრობებზეა დამოკიდებული სიტყვით კი, არა, საქმით დაიწყონ გადაუჭრელი პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგება. დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს, რომლებიც ხალხთა სახელით გამოდიან.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ მზად არის ყოველი ღონე იხმაროს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის. საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულია დიდი ლენინის ანდერძისა, იცავდა და კვლავაც დაიცავს მშვიდობის საქმეს, გადაჭრით იბრძოლებს მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის. ნურავის ნუ შეეპარება ეჭვი ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებში. მაგრამ ამავე დროს ყველამ იცოდეს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესიის ძალებს!

ხალხები უნდა შეკავშირდნენ, რათა ერთად გაუწიონ წინააღმდეგობა აგრესიულ ძალებს, რათა დროზე შეაჩერონ ისინი. მშვიდობისათვის ბრძოლაში დაყოვნება არ შეიძლება. უნდა გვახსოვდეს: ომები შეუმჩნევლად ეპარებიან ხალხებს. ამის დადასტურებაა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დაწყების ისტორია.

დაე მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში დღესაც ცოცხლობდეს ფაშისტური ტირანიის მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობის მძლავრი სულისკვეთება, მისი მამაცობა, მისი სიძულვილი მილიტარიზმისა და ომისადმი, მისი თავდადებული ერთგულება მშვიდობისა და თავისუფლებისადმი! მსოფლმხედველობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის განსხვავება ხელს ვერ შეუშლის მილიონობით ადამიანს შეკავშირდნენ მშვიდობისათვის ბრძოლის ფართო ფრონტის რიგებში.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა მოუწოდებენ ყველა ქვეყნის ხალხებს აქტიურად იმოქმედონ მშვიდობის დასაცავად, შეაკავშირონ თავიანთი რიგები, ბრძოლაში ჩააბან ყველა, ვისაც ჯერჯერობით ვერ შეუგნია თერმოატომური ომის საშიშროება.**

**ჰიტლერიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავი უნდა აღინიშნოს გაძლიერებული ბრძოლით ომის კერების ლიკვიდაციისათვის.**

უწინარეს ყოვლისა ბოლო უნდა მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში. დაე ვიეტნამელმა ხალხმა თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი გარედან ჩაურევლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობისმოყვარე ძალების საერთო აქტიური მოქმედების შედეგად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს კოლონიური ომები დომინგოს რესპუბლიკის, კონგოს, ანგოლის, მოზამბიკისა და სხვა ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს დედამიწაზე!

**ჰიტლერიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავის დღეს ჩვენ მოგიწოდებთ გააძლიეროთ მეცადინეობა იმ გადაუჭრელი პრობლემების მოსაწესრიგებლად, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვიტოვა მეორე მსოფლიო ომმა.**

გზა უნდა გავკაფოთ გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. უნდა შევქმნათ ევროპის უშიშროების მტკიცე სისტემა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და საქმიანი თანამშრომლობის პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი მოუწოდებს ყველა ატომურ სახელმწიფოს საქვეყნოდ, მთელი მსოფლიოს წინაშე განაცხადოს, რომ უარს ამბობენ ატომური იარაღის გამოყენებაზე. თავიდან უნდა ავიცილოთ ამ იარაღის გავრცელება, სულ უფრო მეტი ქვეყნის ჩაბმა გამალებულ ატომურ შეიარაღებაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ მრავალი მთავრობისა და საზოგადოებრივი წრეების მიერ წამოყენებულ გეგმებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რაიონი უატომო ზონად გადაიქცეს. მტკიცე მშვიდობას გზას გაუკაფავენ ისეთი ღონისძიებანიც, როგორიც არის სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, დიდი სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტების შემცირება, ერთმანეთის საწინააღმდეგო სამხედრო დაჯგუფებებს შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. **ყველა ამ ღონისძიების საბოლოო მიზანია მივაღწიოთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას.**

**ჰიტლერულ გერმანიაზე დიადი გამარჯვების ოცი წლისთავის საზეიმო დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ მოუწოდებენ ყველა მთავრობას, პარლამენტსა და ხალხს აქტიურად იმოქმედონ მშვიდობის დასაცავად.**

დიდების მარადიული ცეცხლი ანთია იმ ჯარისკაცთა საფლავებზე, რომლებიც ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე დაიღუპნენ. მილიტარიზმისა და აგრესიისადმი, ყველა ფორმის ჩაგვრისა და ბარბაროსობისადმი სიძულვილის მარადიული ცეცხლი ანთია პატიოსან ადამიანთა გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობებისა და ხალხების დღევანდელ მოქმედებაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება კაცობრიობის ხვალინდელი დღე. მომავალი თაობების ბედი ახლანდელი თაობის ხელთ არის.

მშვიდობის ძალები ომის ძალებზე უფრო ძლიერია. მშვიდობის ძალებმა უნდა გაიმარჯვონ!

| | | |
|---|---|---|
| საბჭოთა კავშირის<br>კომუნისტური პარტიის<br>ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის<br>უმაღლესი საბჭოს<br>პრეზიდიუმი | სსრ კავშირის<br>მინისტრთა<br>საბჭო |

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 331 მწერალ მ. ა. შოლოხოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით მწერალი მიხეილ ალექსანდრეს ძე **შოლოხოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჭოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 22 მაისი.
№ 3634-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 332 პროფესორ ე. მ. ტარეევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სამედიცინო მეცნიერების და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორ ევგენი მიხეილის ძე **ტარეევს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჭოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 მაისი.
№ 3636-VI.

№ 1163639
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 333 მწერალ ა. ე. კორნეიჩუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით მწერალი ალექსანდრე ევდოკიმეს ძე **კორნეიჩუკი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 მაისი.
№ 3639-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 334 ლ. ი. დობრჟანსკაიასა და ა. ა. პოპოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოთ **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება:

ლუბოვ ივანეს ასულ **დობრჟანსკაიას** — საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის არტისტს.

ანდრია ალექსის ძე **პოპოვს** — საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის მთავარ რეჟისორს და არტისტს.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 მაისი.
№ 3641-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 335 მ. ბ. გრეკოვის სახელობის სამხედრო მხატვართა სტუდიის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის **მ. ბ. გრეკოვის სახელობის სამხედრო მხატვართა სტუდია** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 25 მაისი.
№ 3643-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 336 ამხ. კ. თ. ილიაშენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კირილე თევდორეს ძე **ილიაშენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 მაისი.
№ 3646-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 337 მწერალ ა. ნ. ტიმონენის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ანტი ნიკოლოზის ძე **ტიმონენი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 მაისი.
№ 3647-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პასუხი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საკრებულოს მიმართვაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო სავსებით მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საკრებულოს მიმართვას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებისადმი და ერთიანად იწონებს იმ წინადადებებს, რომლებსაც იგი შეიცავს და რომლებიც მიმართულია ვიეტნამში მშვიდობიანობის მოწესრიგებისაკენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მთელი საბჭოთა ხალხის სახელით აცხადებს, რომ საბჭოთა ხალხი ყოველთვის და ყველაფერში გმირულ ვიეტნამელ ხალხთან იქნება, ხალ-

№ 16 (285)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხთან, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ისევე, როგორც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ საკრებულოს, მიაჩნია, რომ ვიეტნამის და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ახლანდელი უაღრესად სერიოზული მდგომარეობის ერთადერთ და უშუალო მიზეზს წარმოადგენს ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული პოლიტიკა. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ომის გაფართოების საშიშროება და აღვადგინოთ მშვიდობა ვიეტნამში, საჭიროა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაუბრუნდეს 1954 წლის ჟენევის შეთანხმებას ვიეტნამის შესახებ. შეერთებულმა შტატებმა უნდა გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან თავიანთი ჯარი, სამხედრო პერსონალი, გაიტანონ იარაღი, საბრძოლო და ყველა სახის სამხედრო მასალა, დაშალონ იქ ამერიკის სამხედრო ბაზები, გააუქმონ სამხედრო კავშირი სამხრეთ-ვიეტნამის მარიონეტულ მთავრობასთან, ბოლო მოუღონ სამხრეთ ვიეტნამში ინტერვენციისა და აგრესიის პოლიტიკას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ სამხედრო მოქმედება ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ და უარი თქვან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიისა და სუვერენიტეტის ყოველგვარ ხელყოფაზე. სამხრეთ-ვიეტნამის საქმეები უნდა გადაწყვიტოს თვითონ სამხრეთ-ვიეტნამის ხალხმა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პროგრამის შესაბამისად, რომელიც ნამდვილად გამოხატავს სამხრეთ-ვიეტნამის ხალხის ნებას და იმედს, მისი ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელია. ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანება უნდა განახორციელოს ამ ქვეყნის ორივე ნაწილის ხალხმა უცხოელთა ჩაურევლად. ჩრდილოეთი და სამხრეთი ვიეტნამის მშვიდობიან გაერთიანებამდე მათ არ უნდა შეკრან სამხედრო კავშირი სხვა ქვეყნებთან, არ უნდა დათმონ თავიანთი ტერიტორია უცხოეთის სამხედრო ბაზებისა და ჯარისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სავსებით იზიარებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საკრებულოს და მთავრობის იმ აზრს, რომ ზემოთ აღნიშნული დებულებანი წარმოადგენენ საფუძველს ვიეტნამის საკითხის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. მხოლოდ მაშინ, როცა ეს საფუძველი აღიარებული იქნება, შეიქმნება ხელსაყრელი პირობები ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და შესაძლებელი გახდება განვიხილოთ საკითხი 1954 წლის ჟენევის თათბირის ტიპის საერთაშორისო თათბირის მოწვევისა ვიეტნამის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი შეშფოთებით ადევნებს თვალყურს მოვლენათა განვითარებას ინდოჩინეთში, იმ სახიფათო მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მსოფლიოს ამ რაიონში. ომის ცეცხლი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები აღვივებენ ვიეტნამში, ის, რომ მათ გააფართოვეს შეიარაღებული ინტერვენცია სამხრეთ-ვიეტნამის თავისუფლებისმოყვარული და მამაცი ხალხის წინააღმდეგ, განუწყვეტელი აქტები აგრესიისა და ყაჩაღური თავდასხმები სუვერენულ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, საფრთხეს უქმნიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობას არამარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი მოქმედება აძლიერებს დაძაბულობას მთელ მსოფლიოში, ზრდის სამხედრო კონფლიქტის საშიშროებას, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს ხალხებისათვის.

ამერიკული იმპერიალიზმის დანაშაულებრივი მოქმედებანი, ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონის თარეში ვიეტნამში, მშვიდობიანი მცხოვრებლების განადგურების ბარბაროსული მეთოდების გამოყენება მთელი საბჭოთა ხალხის გულისწყრომასა და მრისხანებას იწვევს. საბჭოთა ხალხი გადაჭრით ამბობს: „თავი დაანებეთ ვიეტნამს“!

საბჭოთა მთავრობა, ინდოჩინეთში მდგომარეობის შემდგომი გართულების პირობებში, გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხის ნებას და ახორციელებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით საჭირო ღონისძიებებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების და სუვერენიტეტის დასაცავად. თუ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გაძლიერდება, საბჭოთა მთავრობა, საჭიროების შემთხვევაში, როცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მიმართავს, დათანხმდება, რომ ვიეტნამში გაემგზავრონ ის საბჭოთა მოქალაქეები, რომლებმაც, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობით გამსჭვალულებმა, სურვილი გამოთქვეს იბრძოლონ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმისათვის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტურ მონაპოვართა დასაცავად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იწონებს საბჭოთა მთავრობის საქმიანობას ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად.

საყოველთაო მშვიდობის და საერთაშორისო უშიშროების ინტერესები მოითხოვენ იმპერიალიზმისა და აგრესიის ძალების ალაგმვას, ძალებისა, რომელნიც ხელყოფენ ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებასა და წმიდათაწმიდა უფლებებს. არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა, როგორც ახლა, სოციალისტური ქვეყნების მოქმედების ერთიანობა და დარაზმულობის გაძლიერება, ყველასი, ვინც იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშასთან დგას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს მხარი დაუჭირონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საკრებულოს მიმართვას.

**საბჭოთა სოციალისტური**
**რესპუბლიკების კავშირის**
**უმაღლესი საბჭოს კავშირის**
**საბჭოს თავმჯდომარე**
**ი. სპირიდონოვი.**

**საბჭოთა სოციალისტური**
**რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი**
**საბჭოს ეროვნებათა საბჭოს**
**თავმჯდომარე**
**ი. პეივე.**

1965 წლის 29 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში უჩ-კურგანის ჰიდროელექტროსადგურის აგებისას მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 24 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მშენებლობის 40 მონაწილე, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ექსკავატორის მემანქანე ა. ა. ტკალიჩევი; შრომის წითელი დროშის ორდენით — უჩ-კურგანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყოფილი უფროსი გ. მ. არამბიცკი, ტრესტ „სპეცჰიდროელექტრომონტაჟის“ ამწყობი ზეინკალი პ. მ. პაზიჩევი, მბურღავთა ბრიგადირი ტ. უსუბალიევი.

საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებულია 8 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 12 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 16 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## საინფორმაციო ცნობები

### ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სირიის რესპუბლიკას შორის 1957 წლის 28 ოქტომბერს დადებული შეთანხმების ოქმის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და სირიის არაბთა რესპუბლიკის მთავრობამ იმ მიზნით, რომ დააზუსტონ მხარეების ვალდებულებანი იმ ცალკეული ობიექტების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულ იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სირიის რესპუბლიკას შორის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე 1957 წლის 28 ოქტომბერს დადებული შეთანხმებით და მისი 1960 წლის 7 სექტემბრის ოქმით, 1964 წლის 26 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს აღნიშნული შეთანხმების ოქმს. ეს ოქმი ითვალისწინებს სირიის არაბთა რესპუბლიკისათვის ტექნიკური დახმარების მოცულობის გადიდებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ოქმის რატიფიკაცია მოახდინა 1965 წლის 26 იანვარს; სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარემ — 1964 წლის 25 ნოემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა დამასკოში 1965 წლის 6 მარტს.

ოქმი ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან.

ოქმის ტექსტი გამოქვეყნებულია 1965 წლის 27 მაისის № 21 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასაზღვრო წყალთა სისტემებზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობამ, რომლებსაც სურთ განსაზღვრონ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის საერთო სასაზღვრო წყალთა სისტემების გამოყენების პრინციპები და დაადგინონ ამ წყლებით სარგებლობის რეჟიმი, 1964 წლის 24 აპრილს ჰელსინკში დადეს შეთანხმება სასაზღვრო წყალთა სისტემების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა 1965 წლის 27 მარტს. ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — 1965 წლის 15 იანვარს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 6 აპრილს.

შეთანხმება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან ოცდაათი დღის გასვლის შემდეგ.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია 1965 წლის 27 მაისის № 21 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო:

ადასტურებენ, რომ ერთგული არიან მიზნებისა და პრინციპებისა, რომლებიც გამოცხადებულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის 1945 წლის 21 აპრილის ხელშეკრულებაში,

სურთ განამტკიცონ ძირეული გარდატეხა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მეზობელი ხალხების ურთიერთობაში, რაც მოხდა ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის დროს, და ხელმძღვანელობენ მუდმივი მისწრაფებით ურღვევი გახადონ ორი სოციალისტური სახელმწიფოს მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება,

დარწმუნებული არიან, რომ ურთიერთობის შემდგომი განვითარება ამ საფუძველზე შეესაბამება ორივე სახელმწიფოს, ისევე როგორც მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა საარსებო ინტერესებს, და ხელს შეუწყობს მათს ყოველმხრივ განვითარებას და მათ წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების განხორციელებას,

გამოხატავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საერთო მისწრაფებას, რომლებიც თანმიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევრულად ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, გამოხატავენ იმ მისწრაფებას, რომ განუხრელად ეცადონ მშვიდობის განმტკიცებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად,

ადასტურებენ, რომ მაშინ როცა ორიდან ერთი გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც განახორციელა პოტსდამის შეთანხმების პრინციპები, ეფექტიანად უწყობს ხელს უშიშროების უზრუნველყოფას ევროპაში და საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებას, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმი საფრთხეს უქმნის ევროპის უშიშროებას,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან ვალდებულებანი, რომლებსაც ითვალისწინებს ვარშავის 1955 წლის 14 მაისის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ,

ითვალისწინებენ, რომ მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა დადეს 1945 წლის 21 აპრილს და რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ორი სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში, უნდა განახლდეს, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის განვითარების მდიდარი გამოცდილება, აგრეთვე მსოფლიოში მომხდარი ცვლილებანი, და 1965 წლის 8 აპრილს ვარშავაში დადეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდინა 1965 წლის 16 აპრილს; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ — 1965 წლის 14 აპრილს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 21 აპრილს.

ხელშეკრულება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან.

ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნებულია 1965 წლის 27 მაისის № 21 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 338 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1965 წლის 18 ივნისს ქალაქ თბილისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1965 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 339 „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს სიტყვები: „დასახლებული პუნქტების დაბებად, ხოლო სასოფლო საბჭოების სადაბო საბჭოებად გარდაქმნა“ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„ბ) სასოფლო, სადაბო საბჭოების შექმნა, დასახლებული პუნქტების დაბებად, ხოლო სასოფლო საბჭოების სადაბო საბჭოებად გარდაქმნა, გაერთიანება და გაუქმება, მათი ადმინისტრაციული ცენტრების გადატანა, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების გადარქმევა მათი ცენტრების გადატანასთან დაკავშირებით“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 28 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 340 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ და „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ვიდრე უზრუნველყოფილი იქნებოდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობის და საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისობა, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო და სამოქალაქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროცესო კანონმდებლობის მოქმედი აქტები, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან აღნიშნულ კოდექსებს.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი გამოყენებულ უნდა იქნეს იმ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა ამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ ესე იგი 1965 წლის 1 ივლისიდან.

რაც შეეხება 1965 წლის 1 ივლისამდე არსებულ სახელშეკრულებო და სხვა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი გამოყენებულ უნდა იქნეს იმ უფლებებისა და მოვალეობების მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან ამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

სამოქალაქო სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ის წესები, რომლებიც დადგენილია „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით", გამოყენებულ უნდა იქნეს ამ საფუძვლების სამოქმედოდ შემოღების დღიდან.

3. 1965 წლის 1 ივლისამდე წარმოშობილ იმ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც მოწესრიგებული არ იყო მათი წარმოშობის მომენტში მოქმედი კანონმდებლობით (გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება სახლის გასხვისების პირობით, ხელშეკრულება ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობის შესახებ, შენახვის ხელშეკრულება და სხვ.), გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის წესები.

4. წესები უკვალოდ დაკარგულად ცნობილი ან გარდაცვლილად აღიარებული მოქალაქის გამოჩენის ან ადგილსამყოფელის აღმოჩენის შედეგების შესახებ, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-19 და 21-ე მუხლებით, გამოყენებულ უნდა იქნეს იმისდა მიუხედავად, თუ რა დრო გავიდა მოქალაქის გამოჩენიდან ან ადგილსამყოფელის აღმოჩენიდან, აგრეთვე უკვალოდ დაკარგულად ცნობიდან ან გარდაცვლილად გამოცხადებიდან.

5. წესები გარიგებათა ბათილობის შედეგების შესახებ, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 45-ე 59-ე მუხლებით, გამოყენებულ უნდა იქნეს იმ გარიგებათა მიმართ, რომლებიც ცნობილი იქნებიან ბათილად ამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ იმისდა მიუხედავად, თუ რა დრო გავიდა გარიგების დადებიდან.

6. წესები სასარჩელო ხანდაზმულობისა და პრეტენზიების წარდგენის ვადების შესახებ, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 76-ე, 244-ე, 246-ე და 354-ე მუხლებით როგორც დამატება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით" გათვალისწინებული წესებისა, გამოყენებულ უნდა იქნეს იმ სარჩელებისა და პრეტენზიების მიმართ, რომელთა წარდგენის უფლება წარმოიშვა 1965 წლის 1 ივლისის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. წესები საცხოვრებელ სახლზე (ან მის ნაწილზე) პირადი საკუთრების უფლების შესახებ, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით, გამოყენებულ უნდა იქნეს იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოიშვა და რა საფუძვლით საცხოვრებელ სახლზე (ან მის ნაწილზე) პირადი საკუთრების უფლება.

თუ მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს პირად საკუთრებად აღმოაჩნდებათ საცხოვრებელი სახლები (ან სახლების ნაწილები), რომლებიც გასხვისებული უნდა ყოფილიყო წინათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე არ იყო გასხვისებული, მაშინ იგი გასხვისებულ უნდა იქნეს ამ კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ ვადაში და წესით. ამ შემთხვევაში ერთი წლის ვადა გამოითვლება კოდექსის სამოქმედოდ შემოღების დღიდან.

თუ არსებობს საპატიო მიზეზი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია ამ კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ვადა გააგრძელოს, მაგრამ სულ დიდი ერთი წლით.

8. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის წესები საცხოვრებელი სახლის (ან მისი ნაწილის) ზღვრული ოდენობის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს მოქალაქეთა პირად საკუთრებაში, არ ვრცელდება იმ სახლებზე (ან მის ნაწილზე), რომლებიც აგებულია ან შეძენილია მოქალაქის მიერ 1958 წლის 1 აგვისტომდე.

9. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მე-2 პუნქტის წესები სხვადასხვა სახლის ნაწილებზე პირადი საკუთრების უფლების მოსპობის შესახებ, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც პირადი საკუთრების უფლება სხვადასხვა სახლის ნაწილებზე წარმოიშვა 1965 წლის 1 ივლისამდე, ამასთან იმ პირობით, თუ იგი გამოყენებულია ოჯახის საბინაო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ერთობლივად არ აღემატება 60 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

10. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 106 მუხლის წესები იმ პირთა საცხოვრებელ სახლზე (ან მის ნაწილზე) პირადი საკუთრების უფლების შეძენის შედეგების შესახებ, რომლებსაც აქვთ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ბინა, გამოყენებულ უნდა იქნეს იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოიშვა სახლზე პირადი საკუთრების უფლება და როდის გახდა მოქალაქე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი.

თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში საცხოვრებელი ბინის მქონე პირს პირადი საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე (ან მის ნაწილზე) წარმოეშვა 1965 წლის 1 ივლისამდე, მაშინ ერთი წლის ვადა იმ სახლის გასხვისებისათვის (სახლის ნაწილის), რომელიც პირად საკუთრებას შეადგენს, გამოითვლება 1965 წლის 1 ივლისიდან.

11. წესები სახლის, სახლის ნაწილის ან აგარაკის თვითნებურად აშენების შედეგების შესახებ, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლის კოდექსის 107-ე მუხლით, გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე იმ სახლებისა და აგარაკების მიმართ, რომლებიც აგებულია თვითნებურად 1965 წლის 1 ივლისამდე.

12. მოქალაქისა და სახელმწიფოს, მოქალაქისა და კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთო საკუთრება, რომელიც წარმოიშვა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, მოსპობილ უნდა იქნეს ამ კოდექსის 119-ე მუხლით დადგენილი წესით და ვადაში. ამ შემთხვევაში ერთი წლის ვადა გამოითვლება კოდექსის სამოქმედოდ შემოღების დღიდან.

თუ დადგენილ ვადაში შეუძლებელია საერთო საკუთრების მოსპობა, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს გააგრძელოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 119-ე მუხლით დადგენილი ერთი წლის ვადა.

13. იმ შემთხვევაში, როდესაც საკოლმეურნეო კომლის შრომისუნარიანი წევრი შეწყვეტს მონაწილეობას კომლის საერთო მეურნეობაში 1965 წლის 1 ივლისამდე, მას კომლის ქონების წილზე უფლება შეუნარჩუნდება წინათ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლამდე.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის წესები გამოყენებულ უნდა იქნეს საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფისას, იმ შემთხვევაშიც, როცა კომლის არსებობა შეწყვეტილია ამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

14. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295-ე მუხლის წესები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში ქირავნობის, ხელშეკრულებით მხოლოდ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომის გაცემის შესახებ, არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ცხოვრობს არაიზოლირებულ საცხოვრებელ სადგომში 1965 წლის 1 ივლისამდე დადებული ქირავნობის ხელშეკრულებით.

15. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 484-ე მუხლის წესები სარჩელის ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის შეჩერების შესახებ პენსიის ან დახმარების დანიშვნის თაობაზე სათანადო ორგანოებისათვის მოქალაქის მიმართვასთან დაკავშირებით გამოყენებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც შუამდგომლობა აღძრულ იყო 1965 წლის 1 ივლისამდე.

16. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 539-ე — 570-ე მუხლებით დადგენილი წესები გამოყენებულ უნდა იქნეს იმ სამკვიდროს მიმართაც, რომელიც გაიხსნა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, მაგრამ მემკვიდრეთაგან არავის არ მიუღია, და, არც სახელმწიფოს საკუთრებაშია მემკვიდრეობის უფლებით გადაცემული 1965 წლის 1 ივლისამდე.

17. სამოქალაქო საქმეები, რომლებიც მიღებულია სასამართლოებში განსჯადობისა და უწყებრივი დაქვემდებარების მოქმედი წესების დაცვით, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ რომელთა განხილვა არ არის დამთავრებული 1965 წლის 1 ივლისამდე, უნდა განიხილონ იმ სასამართლოებმა, რომელთა წარმოებაში ეს საქმეები იყო საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების თანახმად.

18. თუ იმ სამოქალაქო საქმეების მიმართ, რომლებიც სასამართლოს წარმოებშია 1965 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, არ არის გასული საპროცესო ვადები და ეს ვადები უფრო დიდია, ვიდრე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით არის გათვალისწინებული, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს წინათ მოქმედი ვადები.

19. თუ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეები 1965 წლის 1 ივლისისათვის არ დაუმთავრებიათ ადმინისტრაციულ ან სხვა ორგანოებს, ეს ორგანოები კოდექსით დადგენილი განსჯადობის წესით საქმეებს გადასცემენ სასამართლოებს.

20. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უზრუნველყოს, რომ საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი.

1965 წლის 28 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 341 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და მტაცებლობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის შემდგომი ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაფართოვდეს ამხანაგური სასამართლოების უფლებამოსილება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეთა განხილვის სფეროში. ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ამხანაგური სასამართლოების დებულების მე-5 და მე-15 მუხლებში შემდეგი ცვლილებები (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები: 1961 წ. № 32, მუხლი 478; 1962 წ. № 11, მუხლი 159; 1964 წ. № 4 მუხლი 79):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მე-5 მუხლის 1 პუნქტის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, პირველად ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი საკუთრების მოხმარებისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირე ღირებულების საგნების პირველად ჩადენილი ქურდობა, იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან.

**შენიშვნა:** ამ პუნქტის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ საქმეებს ამხანაგურ სასამართლოებში გადააგზავნიან მილიციის, პროკურატურის ორგანოები და სასამართლო, ხოლო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეებს — აგრეთვე წარმოებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია და კოლმეურნეობების გამგეობები, რის შესახებაც ეს უკანასკნელნი ატყობინებენ პროკურორს, როცა დამრღვევის სამუშაოსა და საცხოვრებელ ადგილზე ამხანაგური სასამართლო არ არსებობს, აგრეთვე თუ დამრღვევის პიროვნების შესახებ მონაცემები და საქმის გარემოებანი მოწმობენ, რომ ამხანაგურ სასამართლოში მისი განხილვა მიზანშეუწონელია, საქმეს განიხილავს კანონით დადგენილი წესით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო. ამხანაგურ სასამართლოში არ განიხილება საქმე იმ პირთა მიმართ, რომლებიც უკვე ორჯერ იყვნენ გასამართლებული ამხანაგურ სასამართლოს მიერ წვრილმანი გატაცებისათვის“.

ბ) მე-15 მუხლის მეხუთე პუნქტს დაემატოს სიტყვები:

„ხოლო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების საქმეებზე — დააჯარიმოს თანხით 30 მანეთამდე, წვრილმანი გატაცების განმეორების შემთხვევაში კი — 50 მანეთამდე“.

გ) მე-15 მუხლის მერვე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8) ამხანაგურ სასამართლოს ამ მუხლის 1-7 პუნქტებით გათვალისწინებულ ზემოქმედების ზომების შეფარდებასთან ერთად შეუძლია დამნაშავეს დააკისროს არაკანონზომიერი მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება, მაგრამ არაუმეტეს 50 მანეთისა, ხოლო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე ამხანაგური სასამართლო ყველა შემთხვევაში ვალდებულია დააკისროს დამნაშავეს მიყენებული მატერიალური ზარალის მთლიანად ანაზღაურება.

წვრილმანი სპეკულაციის საქმეების განხილვისას ამხანაგურ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება წვრილმანი სპეკულაციის საგნების სახელმწიფოზე გადაცემის შესახებ“.

2. დადგინდეს, რომ წვრილმანი გატაცებისათვის და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მცირე ოდენობით გატაცების შემთხვევაში, გარდა სასჯელის ზომისა, რაც გათვალისწინებულია მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელი ჯარიმის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

ა) მუხლი 95-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 95. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება.**

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება ქურდობით, მითვისებით, გაფლანგვით, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან თაღლითობით, ჩადენილი პირის მიერ, რომლის მიმართ წინათ ორჯერ იყო გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი გატაცებისათვის, ან თუმცა ასეთი ღონისძიება გამოყენებული არ იყო, მაგრამ ჩაიდინა წვრილმანი გატაცება არაერთხელ, აგრეთვე ჩადენილი პირის მიერ, რომლის მიმართაც საქმის გარემოებათა მიხედვით ვერ იქნება გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ექვს თვემდე ან ჯარიმით 50 მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი პირის მიერ, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის, ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების რაიმე სხვა გზით გატაცებისათვის (91-ე-96[1]-ე მუხლები), ან წინათ მსჯავრდადებული იყო ქურდობისათვის, მოქალაქეთა პირადი ქონების ძარცვისათვის, ან ამ ქონების თაღლითობით დაუფლებისათვის, ან ყაჩაღური თავდასხმისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით (150-ე-153-ე მუხლები) ან ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე“.

ბ) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს მუხლი 95[1]-ე შემდეგი შინაარსისა:

**„მუხლი 95[1]. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ჯარიმის გამოყენება**

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით (მუხლი 91-ე), თაღლითობით (მუხლი 93-ე), მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით (მუხლი 94-ე) ჩადენილი პირველად და მცირე ოდენობით, თუ საქმის გარემოებათა მიხედვით და დამნაშავის პიროვნების მხედველობაში მიღებით მის მიმართ სასჯელის იმ ზომის გამოყენება, რაც გათვალისწინებულია აღნიშნულ მუხლებში, არ არის გამოწვეული აუცილებლობით, —

ისჯება ჯარიმით, გატაცებული ქონების ღირებულების სამმაგი ოდენობით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ეს ბრძანებულება გამოყენებულ იქნება იმ საქმეების მიმართ, რომლებსაც განიხილავენ სასამართლოები და ამხანაგური სასამართლოები ამ ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ, მიუხედავად გატაცების ჩადენის დროისა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი.

1965 წლის 28 მაისი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 342 საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. მ. ბუაჩიძის მოხსენება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ და აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული. ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, შემცირდა სკოლიდან გასულ ბავშვთა რაოდენობა, ამაღლდა აღმზრდელობითი მუშაობის დონე, გაუმჯობესდა მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული მუშაობა, განმტკიცდა სკოლების მატერიალური და სასწავლო-ტექნიკური ბაზა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიები და აღმასკომების სხდომები სისტემატურად განიხილავენ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საკითხებს, იღებენ გადამჭრელ ზომებს იმ ბავშვთა სკოლაში დასაბრუნებლად, რომლებმაც სწავლა მიატოვეს.

მიმდინარე სასწავლო წლის დამდეგისათვის სწავლებაში ბავშვთა ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმა წარმატებით არის შესრულებული აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში: ქუთაისში, რუსთავში, ტყიბულში, ახალციხის ზუგდიდის, ზესტაფონის, ამბროლაურის რაიონებში და რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა სკოლების მშენებლობა ორგანიზაცია-დაწესებულებების ინიციატივით. საწარმოებისა და კოლმეურნეობების ხარჯით სასკოლო შენობები აშენებულია აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქალაქებში: ქუთაისში, რუსთავში, მახარაძის, სიღნაღის, გურჯაანის, ლანჩხუთის, თელავის რაიონებში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებაში სერიოზული ხარვეზებიც არის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ვერ ასრულებენ სწავლებაში ბავშვთა ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმას. მიმდინარე სასწავლო წელს სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის გეგმა შესრულებულია 99,3 პროცენტით.

სწავლებაში ბავშვთა ჩაბმის გეგმა შეუსრულებელია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში: ფოთში, ჭიათურაში, ახალქალაქის, გეგეჭკორის, მარნეულის, მესტიის, ჩოხატაურის, გურჯაანის და ბოლნისის რაიონებში.

შემოწმებამ ცხადყო, რომ 1965 წლის 1 იანვრისათვის ახალქალაქის რაიონში სკოლის გარეთ იყო დარჩენილი 65 ბავშვი, ორჯონიკიძის რაიონში 45, ლენტეხის რაიონში — 15.

განათლების ადგილობრივი ორგანოები არასაკმარისად ზრუნავენ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის. მარტო წლევანდელი სასწავლო წლის დაწყებისათვის რესპუბლიკის სკოლებიდან გასული აღმოჩნდა 918 ბავშვი.

ზოგიერთ რაიონში იმის გამო, რომ სკოლები დიდი მანძილითაა დაშორებული ბავშვთა საცხოვრებელი ადგილებიდან, მოწაფეები სწავლას თავს ანებებენ, მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სოფელ მურჯახეთის დაწყებითი სკოლის 5 მოწაფეს საშუალება არა აქვს განაგრძოს სწავლა მეზობელი სოფლების რვაწლიან სკოლებში. ანალოგიური მდგომარეობაა ბოლნისის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონების ზოგიერთ სკოლაში.

ჯერ კიდევ დიდია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სკოლას ტოვებენ არასრული საშუალო განათლების მიღებამდე. 1955-1956 სასწავლო წელს ახალქალაქის რაიონის სკოლათა პირველ კლასებში მიიღეს 1687 ბავშვი, ამათგან სკოლაში დარჩა და რვა კლასი დაამთავრა 901-მა, ხოლო 1957-1958 სასწავლო წელს მიღებული 1761 ბავშვიდან ამჟამად მერვე კლასში სწავლობს 1126.

ჯერ კიდევ დიდია ორწლიანთა რაოდენობა. ორწლიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლაში ჩამორჩენილია. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე დაბალია.

არასაკმარისად ვითარდება სასკოლო ინტერნატების და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელი, რის შედეგადაც ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბევრი ბავშვი სწავლას მოკლებულია. ასეთი ბავშვი ონის რაიონში 8, ამბროლაურის რაიონში 9 და სხვ.

არასაკმარისია გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და კლასების რაოდენობა. მაგალითად, ქ. თბილისის ლენინის რაიონში ასეთი სკოლა არ არსებობს რაიონში სულ 19 გახანგრძლივებული დღის ჯგუფია, რომლებშიც 557 მოწაფე სწავლობს, თუმცა მოთხოვნა ასეთ ჯგუფზე ამ რაიონში დიდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლები არასაკმარისად არიან უზრუნველყოფილი მატერიალური და სასწავლო-ტექნიკური ბაზით. ყოველწლიურად იზრდება განსხვავება მოსწავლეთა კონტინგენტსა და სასწავლო ადგილების რაოდენობას შორის. თითქმის ყველგან, როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებშიც, მეცადინეობა რამდენიმე ცვლად ტარდება.

1962 წელს ქ. სოხუმში გაიხსნა ახალი მე-18 საშუალო სკოლა. იგი მოთავსებულია 440-ადგილიან ტიპურ შენობაში, მაგრამ დღეს ამ სკოლაში სწავლობს 947 მოწაფე. ამავე შენობაშია საღამოს სკოლაც და ამიტომ სკოლაში სწავლისათვის სრულიად არანორმალური პირობებია შექმნილი.

ბევრი სკოლა უზრუნველყოფილი არ არის საჭირო ინვენტარით. ზოგს არა აქვს ფიზიკის, ქიმიის და სხვა კაბინეტების მოწყობილობა, არგეთვე თვალსაჩინო ხელსაწყოები. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში დარღვეულია მთავრობის დადგენილება პედაგოგებისათვის შეღავათების და უპირატესობის მინიჭების შესახებ. სოფლის მასწავლებლები ყველაგან როდი არიან უზრუნველყოფილი უფასო კომუნალური მომსახურებით. სათანადო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. არადამაკმაყოფილებელია სახლების მშენებლობა სოფლის მასწავლებლებისათვის.

ახალციხის რაიონის სოფელ ვარხანში და დაბა აბასთუმანში მასწავლებელთა სახლები უკანასკნელი წლების მანძილზე არ გაურემონტებიათ, თითქმის ყველა ოთახში წყალი ჩამოდის და სახლები ავარიულ მდგომარეობაშია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ხარვეზებს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულებაში, მიიღოს გადამჭრელი ზომები:

ა) რვაწლიან სწავლებაში ბავშვთა უკლებლივ ჩაბმის უზრუნველსაყოფად;

ბ) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად, სკოლებიდან ბავშვთა გასვლის და ორწლიანობის მიზეზების აღმოსაფხვრელად, დისციპლინის გასამტკიცებლად;

გ) ახალი სასწავლო წლიდან გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფების და სასკოლო ინტერნატების ქსელის გაფართოებისათვის.

2. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გააქტიურონ მუდმივი კომისიების, დეპუტატების და საზოგადოებრიობის მუშაობა იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც მიმართულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ყველა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატმა სისტემატურად შეისწავლოს, თუ როგორ სრულდება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონი მათს საარჩევნო ოლქებში, და მიაღწიონ იმას, რომ არც ერთი მოზარდი არ დარჩეს სკოლის გარეშე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებისა და ინტერნატების მშენებლობის საქმეს, მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ერთ-ხალხო განათლების ორგანოებთან, პედაგოგიურ კოლექტივებთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა მშობლებთან, გაზარდონ მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდისა და სწავლებისათვის;

ბ) მოაწყონ სკოლისგარეშე მუშაობა ბავშვთა შორის, გამოაცოცხლონ სკოლისგარეშე დაწესებულებათა საქმიანობა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააუმჯობესოს გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური მუშაობა მოსწავლეებში, გააძლიეროს კონტროლი სკოლების და საბავშვო დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობისადმი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გააუმჯობესოს მუშაობა სკოლებში კვების უკეთ ორგანიზაციისათვის.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მიიღოს საჭირო ზომები სკოლებისათვის გამოშვებული ავეჯის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს:

ა) სოფლად სკოლიდან შორს მცხოვრებ ბავშვთათვის სწავლის სათანადო პირობების შექმნის საკითხი;

ბ) საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტით მოწაფეთა უფასო მგზავრობის შესახებ;

გ) სკოლების და სკოლებთან არსებული ინტერნატების რემონტისა და მშენებლობისათვის ასიგნობათა გადიდების შესახებ, 1966 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის განხილვის დროს.

8. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილი) 1965 წლის 25 სექტემბრისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინოს ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი.

1965 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 343 მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით და ადგილობრივი სახსრებით რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის თაობაზე საგარეჯოელთა ინიციატივის მხარდაჭერის მდგომარეობის შესახებ ახალქალაქის, ახმეტისა და ჩოხატაურის რაიონებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახალქალაქის და ჩოხატაურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ საგარეჯოელთა თაოსნობას — მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით და ადგილობრივი სახსრებით რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის შედგენასა და განხორციელებას. მოსახლეობის გაზრდილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისა და რაიონის მატერიალური და ფულადი რესურსების შესწავლის საფუძველზე შეადგინეს რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმები, რომლებიც განიხილეს და დაამტკიცეს სასოფლო და რაიონული საბჭოების სესიებზე. აღმასრულებელი კომიტეტები პერიოდულად აკონტროლებენ აღნიშნული გეგმებით გათვალისწინებული ცალკეული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას და ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათი შესრულების უზრუნველსაყოფად. რაიონული საბჭოს დეპუტატები და აღმასკომის წევრები ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად მიმაგრებული არიან ობიექტებზე.

დაწყებულია ხანდო-ვარევან-არაკვა-ორჯას წყალსადენის მშენებლობა. მიმდინარე წელს რაიონის ტერიტორიაზე დაირგო 27 ათასი ხეხილის და დეკორაციული ხე. ახმეტის რაიონში სკოლებს მიაშენეს 11 საკლასო ოთახი, აშენებულია ერთი საბავშვო ბაღი, გაყვანილია 3500 მეტრი სიგრძის წყალსადენი, მოასფალტებულია დაბის ქუჩები, დარგულია 6.500 ძირი ხე და ბუჩქი. ჩოხატაურის რაიონში შეკეთებული და კეთილმოწყობილია 85 კმ გზა, გაშენებულია ტყე-პარკი.

რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის შესრულების საქმეში კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ახალქალაქის საქალაქო საბჭო, არაკვის, ბარალეთის და ალასტნის სასოფლო საბჭოები, ახმეტის სადაბო საბჭო, ჩოხატაურის სადაბო საბჭო, ხიდისთავის, ფარცხმის და ხევის სასოფლო საბჭოები და სხვ.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახალქალაქის, ახმეტისა და ჩოხატაურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს გააჩნიათ ნაკლოვანებანი ადგილობრივი სახსრებით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით რაიონული ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის საქმეში.

მიუხედავად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 27 მაისის დადგენილებისა, ახმეტის რაიონს დღემდე არ განუხილავს საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება, ხოლო ჩო-

ხატაურის რაიონული საბჭო საკითხის აღმასკომის სხდომაზე განხილვიდან კმაყოფილდა. ჩოხატაურის რაიონის სასოფლო საბჭოების უმრავლესობას, ახალქალაქის რაიონის ზოგიერთ სასოფლო საბჭოს და აღმასკომს არ შეუსწავლიათ სოფლების კეთილმოწყობის გეგმების შესრულების მიმდინარეობა. არ იგრძნობა რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საგზაო და გამწვანების მუდმივი კომისიების, დეპუტატების ავანგარდული როლი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

რაიონის ცენტრისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებებია. სოფლებში არ შენდება გეგმით გათვალისწინებული ობიექტები. ცუდათ მიდის კლუბების მშენებლობა ახალქალაქის რაიონის სოფლებში: კარტიკამი, კოჩიო, ხავეთი, ბარალეთსა და ხანდოში. აბანოების მშენებლობა სოფლებში; კარწახი, სულდა, აზავრეთსა და ბურნაშეტში. იმის გამო, რომ მოსახლეობა ინდივიდუალურ სახლებს უპროექტოდ აშენებს, ირღვევა რაიონული საბჭოს სესიის გადაწყვეტილება სოფლების გეგმური განაშენების შესახებ.

მსგავსი მდგომარეობაა ახმეტის რაიონში. მოუწესრიგებელია როგორც რაიონული (ახმეტა-მატანი-ჯოყოლო-მაღრაანი), ასევე სოფლის შიდა გზები, რაიონის ყველა სოფელში როდია აბანო. რაიონული ცენტრის და სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოებში არ ჩანს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობა. არხები დაბინძურებულია, ეზოები შემოღობილია ძეძვის ღობეებითა და ბარდებით, კეთილმოუწყობელია სოფლის წყაროები.

ჩოხატაურის რაიონის ბუკისციხის სასოფლო საბჭოს სოფლის კეთილმოწყობის მიზნით დღემდე არაფერი გაუკეთებია. გეგმით გათვალისწინებული კლუბის მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა, ხოლო შარშან დაწყებული მაღაზიის მშენებლობა მიტოვებულია.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები იმით არის გამოწვეული, რომ რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და დაწესებულებების ხელმძღვანელები სათანადოდ არ ზრუნავენ რაიონული ცენტრების, სოფლების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, არ რაზმავენ მოსახლეობას ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროები, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საგზაო სამმართველოები და მათი სამშენებლო ორგანიზაციები სათანადო დახმარებას არ უწევენ ადგილზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ ახალქალაქის, ახმეტისა და ჩოხატაურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ამხ. ამხ. უ. კაზარიანი, ს. ბაკურიძე და გ. მამალაძე):

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით და ადგილობრივი სახსრებით რაიონების ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის საძწლიანი გეგმით გათვალისწინებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისადმი, რეგულარულად შეისწავლონ ცალკეული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და განიხილონ იგი აღმასკომის სხდომებზე და საბჭოს სესიებზე, მიიღონ ყოველგვარი ზომები გეგმების შესრულებისათვის;

ბ) რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობაში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, აქტივი და მშრომელი მოსახლეობა;

გ) გეგმით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები გამოაცხადონ სახალხო მშენებლობებად და მათ განხორციელებაში აქტიურად ჩააბან რაიონის მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები ახალგაზრდობა;

დ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოებს შორის რაიონისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის ვადაზე შესრულებისათვის;

ე) სისტემატურად გააშუქონ რაიონულ პრესაში რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა, გამოავლინონ და პოპულარიზაცია გაუწიონ მოწინავეებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს შესაძლო დახმარება გაუწიონ რაიონული საბჭოების აღმასკომებს რაიონის ცენტრისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საქმეში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საფუძვლიანად შეისწავლონ და რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განიხილონ რაიონის ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი კეთილმოწყობის სამწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მღივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი.

1965 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 344 ბორჯომის რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოს სოფლების ლიკანის და ვაშლოვანის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს ბორჯომის რაიონის ყვიბისის სასოფლო საბჭოს სოფლები ლიკანი და ვაშლოვანი ქალაქ ბორჯომთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 345 დუშეთის რაიონის ჭონქაძის სასოფლო საბჭოდან სოფლების ტონჩის, არბოეთის და თხილოვანის გამოყოფისა და გრემისხევის სასოფლო საბჭოსათვის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს დუშეთის რაიონის ჭონქაძის სასოფლო საბჭოს სოფლები: ტონჩა, არბოეთი, თხილოვანი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის გრემისხევის სასოფლო საბჭოს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 4 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 346 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის წარდგინება ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციული დაქვემდებარებიდან არცევის, ბელოთის, ბიყარის, ვანათის, გერის, ღრომის, ძარის, ქემერტის, ქურთის, ბერულის, ქსუისის და ხეთაგუროვის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გამოყოფისა და მათგან ცხინვალის რაიონის შექმნის შესახებ, ცენტრით ქალაქ ცხინვალში და ამასთან დაკავშირებით ცხინვალის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს შექმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. შემდგომში, მორიგ არჩევნებამდე, ახლად შექმნილ ცხინვალის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოში, შენარჩუნებულ იქნეს ცხინვალის საქალაქო საბჭოს დეპუტატთა რწმუნებანი იმ საარჩევნო ოლქებისაგან, რომლებიც მდებარეობენ ზემოჩამოთვლილი სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 5 ივნისი.

## განკოფილება მეორე

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 347 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და **გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“** მეათიათასე ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. გრიგოლ ივანეს ძე **აკოფოვი** — რედაქტორის მოადგილე.
2. არტავაზდ ანდრიასის ძე **ალექსანიანი** — საკუთარი კორესპონდენტი.
3. გრიგოლ არტემის ძე **ბაზაზიანი** — სოფლის მეურნეობის განყოფილები გამგე.
4. ვლადიმერ ბაღდოს ძე **ბაღდასარიანი** — სოფლკორი.
5. გურგენ სირაკანის ძე **ბახშეციანი** — პასუხისმგებელი მდივანი.
6. აკოფ არამის ძე **ბლრციანი** — რედაქტორი.
7. სურენ გიორგის ძე **დარჩიევი** — ლინოტიპისტი.
8. აშოტ კარაპეტის ძე **კალანტარიანი** — საკუთარი კორესპონდენტი.
9. ნინო პოღოსის ასული **მელიქიანი** — პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე.
10. აღასი არუთინის ძე **მელქონიანი** — საკუთარი კორესპონდენტი.
11. ბენიკ მიკირტიჩის ძე **სეირანიანი** — კულტურის განყოფილების გამგე.
12. არუთინ პეტროსის ძე **სეროფიანი** — ლიტერატურული მუშაკი.
13. მკრტიჩ გევორქის ძე **სეროფიანი** — ამწყობი.
14. ხაჩიკ მანველის ძე **სტეფანიანი** — მუშკორი.
15. გოჰარიკ არტაშის ასული **ტერ-პოღოსოვა-პარტუგიმოვა** — უფროსი ლიტერატურული მუშაკი.
16. ვასილ თევდორეს ძე **ჩერკასოვი** — ფოტოკორესპონდენტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 348 რეჟისორ ა. ე. ჩხარტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით რეჟისორი არჩილ ესტატეს ძე **ჩხარტიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 349 კინორეჟისორ ლ. ი. ხოტივარისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის კინორეჟისორ ლევან იოსების ძე **ხოტივარს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 350 ამხ. ა. ა. ხორავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ალექსის ძე **ხორავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 351 ამხ. ა. ნ. თამრაზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზის საშსახურის უფროსი ამხ. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **თამრაზოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 352 ამხ. ა. ს. მარჯანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის ნაწარმის მომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი ამხ. ალექსანდრე სიმონის ძე **მარჯანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 353 ამხ. გ. ვ. გერსამიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსი ამხ. გალაქტიონ ვასილის ძე **გერსამია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

ობილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 354 ამხ. ბ. მ. შატბეროვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავლიტის უფროსი ამხ. ბორის მიხეილის ძე **შატბეროვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 355 ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის მუსიკალურ-დრამატული სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში 1965 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის მუსიკალურ-დრამატული სახელმწიფო თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1965 წლის 31 მაისი.

### განყოფილება მესამე

### საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით დააჯილდოვა 307 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან . . . . . — 41
ქ. რუსთავიდან . . . . . — 13
ქ. ჭიათურიდან . . . . . — 32

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| ქ. ტყიბულიდან | | — | 11 |
| ახალქალაქის | რაიონიდან | — | 16 |
| ბოგდანოვკის | „ | — | 44 |
| გეგეჭკორის | „ | — | 20 |
| გურჯაანის | „ | — | 1 |
| გორის | „ | — | 16 |
| თიანეთის | „ | — | 4 |
| ზუგდიდის | „ | — | 9 |
| ლაგოდეხის | „ | — | 22 |
| ლანჩხუთის | „ | — | 5 |
| საჩხერის | „ | — | 20 |
| სიღნაღის | „ | — | 11 |
| ჩოხატაურის | „ | — | 5 |
| წყალტუბოს | „ | — | 9 |
| ხაშურის | „ | — | 28 |